ზოგიერთი უმაღლესდამთავრებული ახალგაზრდა არ მუშაობს თავისი სპეციალობის მიხედვით.

— შეხედე ჩვენს ოფიციანტს, როგორი ოსტატობით მიაქროლებს ბოთლებს!

— რა გიკვირს, კაცმა ფიზკულტურის ინსტიტუტი დაამთავრა და სირბილი გაუჭირდება?!

ნახ. ჯ. ლოლუაძი

№ 15 თბილისი აგვისტო 1964

ბიჭი

გამოცემის 42-ე წელი. ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვინოსუხუმი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქართველ კაცს ღვინო რომ უყვარდეს, აბა რა გასაკვირია, უყვარს, ბატონო, ყველას უყვარს, მით უმეტეს, კახური და ამიტომაც მღერიან:

„ღვინოვ კახურო, ვარ შენი მსმელი,
გინდ თეთრი იყო, გინდა წითელი“.

ამ მხრივ გამონაკლისი არც თბილისელი შალვა რაჟდენის ძე სულიკაშვილი იყო და არც მისი ამხანაგები.

ხდება ხოლმე და, არცთუ ისე იშვიათად, უსიამოვნო და სამარცხვინო, ერთის სიტყვით, ბნელი წარსულის მქონე ადამიანი საზოგადოებისათვის სასარგებლო გზას დაადგება და ამით ერთხელ კიდევ უსვამს ხაზს იმ ჭეშმარიტებას, რომ ადამიანი ბოროტმოქმედად არასოდეს არ იბადება, რომ ეს სამარცხვინო და არასახარბიელო თვისება მემკვიდრეობითი სულაც არ არის და, მაშასადამე, მისი თავიდან მოშორება უთუოდ შესაძლებელია.

მაგრამ თავიდან რომ მოიშორო რაიმე, თავია საჭირო, რადგანაც ყველგან და ყოველთვის, ყველაფერს თავი და თავი თავია.

შალვა სულიკაშვილს საზოგადოებრივი ქონების დატაცებისათვის 1950 წელს ოცი წელი რომ ციუსაჯეს, 1960 წელს ისევ იხილა მზის სინათლე, მაგრამ ნათელი საქმეებისაკენ გულმა არ გაუწია, ბნელითა და წყვდიადით მოცული არჩია და მიჰყვა კიდეც.

შემოიკრიბა გარშემო ძმანი თვისნი, და დაიწყო თათბირი.

— რა უნდა გაგაჩნდეს, რომ ყველაფერი გაგაჩნდეს, რაც მდიდრული და უზრუნველი ცხოვრებისათვისაა საჭირო და აუცილებელი?—დაისვა კითხვა.

— შნო და მარიფათი.

— გერგილიანობა და ყაირათი.

— ერთმანეთის გატანა...

— ... და ღვინის გატანა (ცხადია, საქართველოს საზღვრებიდან).

— და სიფრთხილე, რამეთუ არ ძინავს სატანას.

— გავიტანოთ ერთმანეთი და გავიტანოთ ღვინო, ხელი ხელსა ბანს..

— ორივე კი პირს.

— ვინ იყოს პირი?

— პირი ცნობილი პირია—ეს მე ვარ შალვა სულიკაშვილი.

— შენს პირს შაქარი.

— შენს პირს კახური.

— შენს პირს შაქრიანი კახური.

— პირობა?

— პირიანობა—აი პირობა.

გულმა გული იცნო და ღონემ ღონე, დაიდო პირობა და მოჰყვა პურობა. და დაიწყო საქმე, რომელიც რამდენიმე რესპუბლიკას გადაწვდა. შალვამ, ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, ვორონეჟის ოლქის ქალაქ კალაჩში მოიკალათა და ღვინის დამამზადებლად გაიფორმა თავი.

ასე გაჩნდა საქმის თავი.

ბოლოზე ბოლოს გვექნება ლაპარაკი.

ითავა თავმა და გურჯაანისა და სიღნაღის რაიონები დამწმარე მეურნეობად იქცია.

სულიკაშვილმა აიყვანა თავისი „კადრები“, კადრები, რომლებიც ყველაფერს კადრულობდნენ: ვეტერინარიელი სურენ სომხიშვილი, ვანო კვირიჩაშვილი, სერგო გაგაშვილი და სხვები. აიყვანა და დაავალა, დაავალა და მოთხოვა მტკიცედ დაეცვათ მისი მითითება, შეექმნათ საკუთარი ღვინის გაყიდვის მსურველთა ავტორიტეტული ბირთვი და მასზე დაყრდნობით, მოეზიდათ იმდენი ღვინო, „ზღვათა-მცა შესდის და გაედინებისო“ რომ ამბობენ. ხსენებულ ბირთვში პასუხისმგებელი პირები შეივიდნენ: ვერასიმე ველაშვილი, ვლადიმერ ალექსიშვილი, ნიკოლოზ აბერაშვილი, ვახტანგ როსტომაშვილი, ბაჩო ოგანოვი, ანდრო ბეჟანიშვილი, გიორგი ჯანჯიბუხაშვილი, მათ ყოველგვარი დაფიქრების გარეშე საკუთარი ღვინო ზემოთ ხსენებულ საქმოსნებს მი-

ჰყიდეს ლიტრი 83 კაპიკად, ნაღი საფასური აიღეს და მოსახლეობას მაგალითი მისცეს:—ხომ ხედავთ, ხალხნო, როგორი ხალხია, ჩვენც კი ვენდობით და თქვენ რატომ არ უნდა ენდოთ! ღვინო გაისადაც ბლომად დაგიდგებათ, დასალევადაც ნუ დაიტოვებთ, მიყიდეთ, და ფულით ჯიბეები გამოიტენეთო.

მოზღვავდნენ მსურველები და მოზღვავდა ღვინო.

ღვინო აზერბაიჯანში გაჰქონდათ მეპატრონეებს, იქ კაზახის კოოპგასაღების სექციის მეშვეობით (სხვათა შორის, ყაზახში შალვა სულიკაშვილის „ნაცვლის“ თანამდებობაზე ღვინის საქმეში ყოველგვარი სპეციალური განათლების გარეშე განათლებული სამსონ შიუკაშვილი მსახურობდა (სადგურ აღსტაფაში ჩაჰქონდათ ღვინო. შიუკაშვილი აწონიდა, სიმაგრეს გაუზომავდა, მერე სხვები და სხვები „ქვეორებს“ გამოუწერდნენ პატრონებს, თუ თერმომეტნახევარ გრადუსზე ნაკლები სიმაგრე ექნებოდა ღვინოს, ყოველ ტონაში სამას-ოთხას ლიტრს დააკლებდნენ და დაპირებით გაისტუმრებდნენ, გავასაღებთ და 83-83 კაპიკს გაგისწორებთო. ისე კი, სხვათა შორის, „ყოველ შემთხვევისათვის“, ყოველ ლიტრში 130 კაპიკის კვალობაზე ჩაბარებას ადასტურებინებდნენ ბლეხებს თავიანთი ბატიფეხური ფაქსიმილეთი. და, მაშასადამე, ყოველ ლიტრში 47 კაპიკს უშრომლად, თავის შეუწუხებლად და უდრტვინველად, ყოველგვარი სინდისის ქეჯნის გარეშე, ასე ვთქვათ, „კანონიერად“ იჯიბავდნენ.

ამას არ ჯერდებოდნენ, ჭამაში მოსულ მადას იმით იკმაყოფილებდნენ, რომ კალაჩსა, იქვსკსა და კიროვში ჩატანილ ასეულ ტონობით ღვინოებს ბოთლებში ასხამდნენ, და ყიდდნენ ქართული სამარკო ღვინოების ფასად ადგილზევე დაბეჭდილი იარლიყებით დამშვენებულს.

ზოგჯერ ჩია კაცს ტარიელი ჰქვია, მაგრამ მის სახელს, ასე თუ ისე, დედამისის კეთილი სურვილები მაინც ამართლებს, მაგრამ ღვინის სახელწოდება ღვინის ჭეშმარიტ თვისებებს უნდა შეეფარდებოდეს.

შალვა სულიკაშვილისა და მისი ამფსონებისათვის ეს ჭეშმარიტება არავითარ აუცილებლობასთან არ იყო დაკავშირებული. სულიკაშვილის ერთ-ერთმა კალაჩელმა მარჯვენა ხელმა ასეთი სადირექტივო ბარათი გამოუგზავნა ერთხელ სულიკაშვილისავე მარჯვენა ხელს საქართველოში: „ახლავე მონახეთ პრეისკურანტი და —თქვენი ღვინის სახელწოდება უნდა იყოს სახელწოდებით ისეთი, რომლის ღირებულება უნდა იყოს ჩვენს ფასს ზევით, ე. ი. დაარქვით თქვენ ღვინოს, პრეისკურანტის მიხედვით, 1.65 კაპიკის მეტზე ღირებული, რაც უნდა იყოს, რადგან მე მას ისე მივიღებ, როგორც თქვენ დაარქმევთ“. (აზრიც მათია, სტილიც მათია—ხოლო პუნქტუაცია ჩვენია). ე. ი. დაარქვით რაც გინდათ, თქვენ იყავით მისი ნათლია და გასაღება ჩვენზე იყოსო. ამგვარად ერთი და იგივე ღვინო იყიდებოდა როგორც „ახაშენი“, „გურჯაანი № 3“, „ახმეტურა“, და ეს მაშინ, როცა იგი არც ერთი იყო, არც მეორე და არც მესამე—თუმცა, სამართლიანი იქნებოდა მისთვის, ნათლიების პატივსაცემად, „ნათლული“ დაგვერქმია, მაგრამ, რას იზამთ, ზოგჯერ ჩია კაცსაც ტარიელი ქვია!

ასე იფურჩქნებოდა მათი საქმე, იჩენდნენ შნოს და მარიფათს, გერგილიანობასა და ყაირათს, ჰქონდათ სახელიც, ჰქონდათ სახრავიც, ახარებდნენ თავიანთ ჭიას, მისდევდა ჟამი ჟამს, მაგრამ ბოლოს საქ. სსრ მილიციის სამმართველოს მუშაკების ბ. ბოლდარენკოს, შ. მხეიძის, ლ. ცინცაძის და სხვათა ფსიზელმა თვალებმა იხილეს საქმენი მათნი საგმირონი და მერე მათ მიერ გაბმული საიდუმლო ქსელი გაწყდა სადაც წვრილი იყო და დაითრია ყველა საქმის დიდი და პატარა მონაწილე შალვა სულიკაშვილის მეთაურობით, ჩაჯარდა თავი და თავი და ჩავარდა ყველა.

ჩამომხრჩვალის სახლში თოკს აღარ ახსენებენ და ჩავარდნილების ოჯახებში „ღვინოვ კახურო“ აღარ მღერიან, რამეთუ კახური ღვინო თოკია მათთვის.

ბარაბოტი

ნახ. ზ. ფორჩხიძისა

კინოფიდმის დემონსტრირება ზოგიერთ სოფელში

— რა გაუვირეთ, ხალხნო, დანარჩენს მე მოგიყვებით!

— ვენაცვალე ჩემს ბიჭიკოს, ჩანგლით ჭამა ვერ ვასწავლე, თორემ დანას შესანიშნავად ხმარობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიგით ოცდამეექვსე

სოფელ გლდანში, მაისურაძეების უბანში შეხვალთ თუ არა, თქვენს ყურადღებას იპყრობს ორსართულიანი ოდა-სახლის ხალხით სავსე ოთახი.

ვის არ ნახავთ აქ!

თბილისელ მოქალაქეს, თუ თიანეთელ მანდილოსანს! ოქროყანელ მეყვავილეს, თუ მთებიდან ჩამოსულ მეცხვაოეს! სტუდენტ ქალიშვილს, თუ შინაბერა მოსამსახურეს! ყველას იმათ, ვინც „დაკარგული ბედნიერების“ მოლოდინით ცოცხლობს!

ვინ არიან ისინი?

ქმრისაგან ხელაღებულნი, „შეყვარებულისაგან“ მოტყუებულნი, „სატრფოსაგან“ შეცდენილნი, სამსახურში ხელმოცარულნი, და ცხოვრებაში სწორ გზას აცდენილნი!

დგანან და ელოდებიან ლანდების დიდოსტატის ადამიანის იდუმალ ზრახვათა მესაიდუმლის, „მაშო მრჩევლის“ „სწორუპოვარ“ რჩევას. მაშოც მსახიობის დიდი ოსტატობით იწყებს მარჩიელობის ცერემონიალს.

თხრობას „მელოდრამით“ იწყებს, თანდათანობით „ტრაგედიაში“ გადადის და ფინალი „კომიკურია“ — სიმღერით ამთავრებს: „მირბის სიცოცხლე, მისდევს სიკვდილი....“

„კაბინეტიდან“ გამოდიან რწმენით „დამუხტული“ ადამიანები, ზოგნი სიხარულით, ზოგნი სინანულით.

20 ივლისს, ორშაბათ დილით, მეც შევაღე „იდუმალებათა ტაძრის“ კარები. რიგით ოცდამეექვსე ვიყავი, მაგრამ სამოცდაათ წელს მიახლოვებულ მისანს დაღლილობა არ ემჩნეოდა. შესვლისთანავე პირჯვარი გადამაწერია სამგზის. მერე ქრისტეს ჯვარი პირთან მომიტანა და მე მყისვე კბილის ტკივილი მოვიმიზეზე. ამჯერად ავიცდინე ქრისტეს ამბორი. წყვილი სანთელი ავანთე და ძელზე გაკრულ იესოს ხელებზე მივამაგრე! იწყება კითხვა-პასუხის „საღამო“:

— ვაჟიშვილი გყავს?

— ოცდახუთი წლის! — ვიცრუე ხატის წინ.

— ჭკუაზეა შეშლილი?

— ვინა, მე?!

— არა, თქვენი ვაჟი!

— ეშველება რამე? — „ჯადოქარი“ დუმს

ციმციმებენ „ბედის სანთლები“ — იმედს იძლევა მარჩიელი! ბეუტავენ სანთლები — ბორგავს მისანი, იღვენთებიან სანთლები — მღერის მკითხავი! ემოციურობისათვის მუსიკასა და პოეზიას იყენებს:

„ხატში წაიყვა საკლავი,
შენს შვილს ასცდება საფლავი.
ცხვარს როცა ტყავი გასძვრება,
ოჯახსაც გლოვა ასცდება!
სულ მალე შენი ვაჟკაცი
ალარ გაივლის ბარბაცით.
მერე ვიხაროთ, ვიხაროთ.
სულ კეთილ კვალზე ვიაროთ!“

ამ სიმღერის მუსიკა ხალხურია, ხოლო ტექსტი თვითონ მაშოს უნდა ეკუთვნოდეს, რადგან ამ „შედევრის“ მსგავსი რამ, არც კლასიკურ და არც ხალხურ პოეზიაში არ მოიძებნება! 35 წუთი ვიჯექი სანთლებით გაჩირაღდნებულ ხატების წინ და, როგორც იქნა, მივიღე სამკურნალო რჩევა ჩემი (არარსებული) სულით ავადმყოფი ვაჟისათვის! ეს „რეცეპტი“ იმდენად ვულგარული და უხამსი იყო, რომ მისი ქაღალდზე კადატანა და გამომქღავნება მეტისმეტად უხერხული გამოდგა.

როგორც ყველამ, მეც დავდევი ლარნაკზე ერთი ცალი სამმანეთიანი და უბრალ დავტოვე სიცრუისა და ლანდების იგავ-მიუწვდომელი საუფლო!

ს. უშიშაური

P. S. ეს წერილი ნიანგის კორესპონდენტს ეკუთვნის, რომელიც თვით იყო 20 ივლისს მაშო მკითხავთან და რიგით ოცდამეექვსემ მიიღო მისი ლოცვა-კურთხევა.

მაშო მაისურაძის მაღალი ოსტატობისა და მისი ეჭვმიუტანელი მკითხაობის საუკეთესო დადასტურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მაშო დეიდა ამ წერილის დაბეჭდვის შემდეგ გაიგებს მხოლოდ ჩვენი კორესპონდენტის ვიზიტის ამბავს.

იქნებ, ვისაც ეს ეხება, მიაკითხონ მკითხავ მაშოს, რომ რიგის დაცვაში მაინც უშველონ ხანდაზმულ მისანს!

ნახ. დ. ლინია

— როგორ დაისვენეთ, ბატონო სევასტი, სანატორიუმში?
— დავიქანცე... დილით ფიზიულტურა, მერე საუზმე, შემდეგ ექსკურსია, საღამო, კონცერტი და... ვინაცვალე ჩემს დაწესებულებას, აკ ქე ვარ მოსვენებული!

ᲗᲐᲗᲔ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲔ

„ჩემო საყვარელო თათე! მომძღვნა თქმა, მაგრამ, რას იზამ, ცხოვრებაში ყველაფერი ხდება. დღეს, როდესაც ჩვენი მორიგი ოჯახური კონცერტის ჩაბარების შემდეგ, შენ ჩემს სახლიდან სამთვიანად უცდ ბაკში, მე სწორედ მაშინ მეწვია მოგარიბება, რომელსაც პიოტენი შეზარა უშიდეს.

და მე ავიღე კალამი ხელში...

და მე დავიწყე მოთხრობის წერა, რომლის სიუჟეტი დიდი ხნის წინათ მქონდა ჩაფიქრებული: ჯეკი, ერთ მშარეს ახალგაზრდა ქალი, მეორე მშარეს — ახალგაზრდა ვაჟი, ისინი ნადადიან ბადასახელებენ და ერთმანეთს ეჯახებიან, რასაც მოჰყვება ჟირნული. მერე ადგის სამი თვე...

დავიწყე მოთხრობის წერა და სწორედ მაშინ, როცა ბიჭმა გადაწყვიტა როგორმე დაეწყნა თავი ეოლის კლანჭებისაგან, ეიღაცამ დააკაკუნა კარზე.

მე არავი ველოდი.

მე კარგად ვიცოდი, რომ შენ, სანამ ქალაქს არ შემოიღლიდი, არ დაბრუნდებიდი სახლში.

ბიჭი კარი და შემოიდა უნაზეი, მომხიბლავი არსება და პირდაპირ საწერი მაგიდისაკენ წამოვიდა.

— ვინ ხარ? — ზმის კანკალით ვკითხე.

—თქვენი მოთხრობის ეგმირი.

— კი, მაგრამ თქვენ ჯერ არ უნდა გამოჩენილიყავით!

— რატომ?

— იმიტომ, რომ თქვენ მე ჯერ უნდა ვეძებინი ცაში, კლდეში, ღრეში...

ცისფერთვალებამ ყელი მოიღერა, ოფები ჩაჩითშალა და უნაზეი ხმით მითხრა:

— სად უნდა მეძებნო, აკ არა ვარ?

სხვა, ჩემს ადგილზე, ადვილად დაკარგავდი წონასწორობას.

სხვა, ჩემს ადგილზე, არაფერს გიგულვდი ანგარში.

სხვა, ჩემს ადგილზე, ეპ მოხმობილიყი ანსებმის მონად იქცეოდა, მაგრამ მე, რომელმაც შენთან სამი თვე ჯერ მწარე ვჭამე, მერე უფროსრეი, არ დავიბენი და სასწრაფოდ ვკითხე ცისფერთვალებას:

— თოფელი შეიგი თუ თეფორი?

— რა თქმა უნდა, თეფორი.

— მტკვარი აღმა მიდის თუ დადმა?

— რა თქმა უნდა, დადმა.

— დედამიწა ხიან ანის მრგვალი?

— დიახ.

ყოველივე ამის შემდეგ მე არაფერი დამრჩა, გარდა იმისა, რომ ბიკვოლოდი და მე ბაკავეი.

ახლა ჩვენ მიეფიგართ ერთად, ჯერ არ ვიცით სად, მაგრამ დიდი ქვეყანა...

ჩემის ანრით, მოთხრობა კარი გამოდის, ოღონდ ფინალი ჯერ მომიძებნია ჯერ.

ნაშუბარი მათე.

მინაწერი

ჩემო საყვარელო მამე!

ზეკეიოფენ და მომეწონა შენი მოთხრობა.

მოთხრობა მართლაც კარია, მაგრამ გამოგრჩენია მესამე მოქმედი პირი, გამოგრჩენია ზეკეიოფენ და ბოგიშარეა თავიდან. რაც შეეხება ფინალი, მე ზოგიერ ნაირად ვფიქრობ თავიდან. რაც შეეხება ფინალი, მე ზოგიერ ნაირად ვფიქრობ თავიდან. ეს ბოგიშარეა, ეს ბოგიშარეა, ეს ბოგიშარეა,

საკუპრაჯო ბარათის შევსებისას

— რა გაწუხებთ?

— მხოლოდ სიყვარული, ექიმო... გაგიუებით მიყვარს ზღვა!

პაპიროსანი

— „მაროკნი!..“

— რა ღირს?

— „სამაროკნეში“ 10 კაპიკი, ქუჩაში 11, ეზოში 12, „პადიეზდში“ 13, სართულებზე კი თითო კაპიკს იმატებს.

— ლიფტი თუ მუშაობს?

— მაშინ, კარებთან 15 კაპიკია.

— შენ აგაშენა ღმერთმა, შენ კიდევ პატიოსანი კაცი ყოფილხარ, გადი ერთი თუ ძმა ხარ, ქუჩაში და ახლავე ჩამოვალ, სამი ცალი ნაყინი მინდა!

ნ. მ.

ინგლისი და ამერიკა ათასგვარ პროვოკაციებს აწყობენ კვიპროსის წინააღმდეგ. ისინი აქეზებენ თურქეთს კუნძულზე შესაჭრელად.

ნატოს ხელი და წაქეზება კუნძულ კვიპროსზე შესაჭრელად.

განმარჯებითი ბარათი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ დავიგვიანე სამსახურში და ისევ მივიღე საყვედური, ამჯერად — უკანასკნელი გაფრთხილებით.

და, მიუხედავად ამისა, მაინც არ ვიყავი დამნაშავე.

სახლიდან ჩვეულებრივზე ადრე გამოვედი, მაგრამ ავტობუსზე დაჯდომა ვერ მოვასერხე .როგორ დავჯდები, როცა ავტობუსი გაჩერებაზე არ ჩერდება? მისთვის არც გაჩერება არსებობს, არც საყვედურები და არც უკანასკნელი გაფრთხილება, ჩაგიქროლებს ცხვირწინ და მიიმალება.

ბოლოს გამოჩნდა ერთი ღვთისნიერი მძღოლი და გაგვიჩერა ავტობუსი, გავიბრძოლე და ავედი. ერთი ფეხი როგორც იქნა ჩავდგი, მეორის დასადგმელი კი ვერ მომინახეს და ვდგავარ ასე, ყანჩასავით ფეხაწეული.

ავტობუსი ადგილს მოწყდა. გაიარა რამდენიმე მეტრი და გაჩერდა. რა მოხდა?

დავიხარე და ფანჯარაში გავიხედე. ავტობუსისაკენ ერთი კოპწია ქალიშვილი მოგოგმანობს. აი, ჭეშმარიტად რაინდული საქციელი! ბრწყინვალე მაგალითი მანდილოსნის პატივისცემისა !მივიწ-მოვიწიეთ და ქალიშვილს ადგილი გავუთავისუფლეთ, მაგრამ მას ისეთი მდევ-კაცი ამოჰყვა, რომ სუნთქვაც კი გაჭირდა.

— ბილეთები შეიძინეთ! — დაგვიწივლა კონდუქტორმა.

მაშინვე მივეცი ფული. კონდუქტორმა ხურდა დამიბრუნა და ხელზე ოდნავ მომიჭირა ხელი, რაც იმას ნიშნავს, რომ ბილეთს ვერ მივიღებ. სხვებს, ვისაც ვერ მიწვდა, თვალი ჩაუკრა, ზოგიც ქლესა ღიმილით დააჯილდოვა და მხოლოდ ერთ ჭირვეულ მოხუცს მოუხია ბილეთი.

ავტობუსი ზანტად მიბობღავს და წარამარა ჩერდება. გვემატება და გვემატება ხალხი სხვები გაჩერებაზედაც კი არ აჩერებენ, ეს კი, ვინც ხელი აუწია, ყველას უჩერებს.

—რავა ჩოჩიალა ურემივით მიგყავს ეს მანქანა —ყვირის ვიღაც. — ცოტა მოუჩქარე, შე ოჯახქორო!

ჯობდა კი არ ეყვირა. მძღოლმა უმალვე დააყენა მაქანა, კაბინიდან თავი გამოყო და იკითხა:

— ვინაა, რომ ილანძღება?

პასუხი არავინ გასცა. მძღოლი ერთ ხანს თვალებით გვბურღავდა, მერე უწმაწურ გინებას მოჰყვა და მანამდე არ დაშოშმინდა, სანამ კონდუქტორმა ერთი თეფში ხინკალი არ ამოუტანა მახლობლად მდებარე სასაუზმედან.

მეორე „სოიუზპეჩატის“ კიოსკთან გავჩერდით. კონდუქტორი გაზეთების რიგში მდგარ ხალხს შეერია, „ლელო“ იყიდა და მძღოლს მიართვა.

მგზავრებს შორის ჩამოვარდნილი ჩუმი დრტვინვა ხმამაღალ პროტესტებად გადაიქცა.

— გავიგოთ ერთი ამათი გვარები და ვუჩივლოთ სადაც ადგილია—თქვა ერთმა.

— ყურებზე ხახვი არ დაგვჭრათ, —გესლიანად მიუგო კონდუქტორმა.

— სამსახურში გვაგვიანდება, ქალბატონო!

— ჩვენ არ გვაგვიანდება. ჩვენ ჩვენი გრაფიკით ვმუშაობთ.

— ნეტა ვინ ადგენს ამ უგნურ გრაფიკებს?

— საათობით რომ დგახართ ბოლო გაჩერებებზე, არა სჯობია მეტი რეისები გააკეთოთ და მეტი შემოსავალი მისცეთ სახელმწიფოს?

— ეგენი, ძმაო, საკუთარ ჯიბეზე უფრო ზრუნავენ, ვიდრე სახელმწიფო გეგმის შესრულებაზე.

— იმიტომაც სტენიან ასე მანქანას. ამდვრეულ წყალში მეტი თევზი მოსდევს ბადეს.

— პარაზიტებო!—ზიზღით გვესროლა კონდუქტორმა.

წელმოწყვეტილივით ჩამოვედი ბოლო გაჩერებაზე. მთელი თხუთმეტი წუთი დავიგვიანე! რა პირით უნდა შევხედო საამქროს უფროსს? დირექტორს?

უცებ კაბინასთან ატუზულ მძღოლს მოკკარი თვალი. მორიგე დისპეტჩერი გადასოგომია წინ და ტუქსავს. ქადილით მივუახლოვდი, ყური მივუგდე და გულზე შემომეყარა იცით, რაზე ტუქსავდა? გრაფიკი რად დაარღვიე და დანიშნულ დროზე ადრე რად მოხვედით!

— გაფრთხილებთ, „მკაცრად მითხრა დირექტორმა.—თუ კიდევ დაიგვიანეთ, ამხანაგურ სასამართლოს გადაგცემთ.

იმათ ვიღა გაასამართლებს?

გ. შარაშიძე

მართალია ნაგელია

— რას შვრები, როგორა ხარ, პარმენ! — ეკითხება ტრამვაიში ერთი მგზავრი მეორეს.

— კარგად, რა მიჭირს, ერთი ეგ არის, მაგარი ნამთვრალევი ვარ. წუხელ პურ-მარილზე ვიყავი, აი, — და გაშლილი ხელის ცერი ნიკაპქვეშ გამოისვა.

— მაგრა ურტყით?

— იცოცხლე .. სუფთა მუხრანული ვსვით.

— ოჰ, ოჰ, ოჰ!..

— გელაპარაკები! ღვინო იყო, თავს ჩაისრჩობდი შიგ! რამდენიმე შინაური ბიჭი ერთად დავსხედით და გიყვარდეს!.. ჭიქები არა უშავს, მოლად გალეულები არ იყო, მაგრამ იმ ღვინოს ხომ იცი, რაც უნდოდა... არც დავბნეულვარ; სუფრასთან მოტრიალე ერთ ახალგაზრდა ქალს ვუთხარი, ჩემო დაო, თუ შეიძლება, წყალი მომიტანე-მეთქი, წყალს თავისი გზა მივეცი და წავიდა თხელი ჭიქით რიგგარეშე. მართლა, ჩვენი კაკოც იქ იყო. რამდენსა ჭამს, კაცო! რა ნაჭრებს ითრევდა! მოკლედ, კარგად დავლბით. მერე, სიმღერა გვინდოდა და სირცხვილიაო. გზაში კი გიყვარდეს, ვიღრიალეთ!..

— რა იყო სირცხვილი, რომ გემღერათ!..

— რა ვიცი, ორმოცზე უხერხულიაო!..

— ააა, ორმოცზე იყავით?

— ჰო, ჩემს ნათესავს ბაბუა მოუკვდა.

— საწყალი! ახალგაზრდა იყო?

— ოთხმოცდაორის.

— რას იზამ, ყველა სიკვდილის შვილები ვართ!

შ. შადრეინიშვილი

ბარათები ნიანგს!

ზრუნვა დაუფასეს

მიმდინარე წლის იანვარში ნიანგმა თავის მეორე ნომერში გამოაქვეყნა წერილი სათაურით „ვინ უფრთხილდება ჩვენს ჯანმრთელობას“. მასში აღნიშნული იყო თბილკვებვაჭრობის № 122,128 და 183 კიოსკების გამყიდველების მ. ბაღათურიას, მ. ოგანეზოვის და ს. ქადაგიშვილის განსაკუთრებული „ზრუნვა“ მომხმარებელთა ჯანმრთელობაზე.

ეს სამი მუშკეტერი მუშტრების ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, ლუდსა და სხვა სასმელებზე მომხმარებლებს აკლებდნენ რაოდენობაში და ამით თავიანთ ჯიბეს უმატებდნენ ნაქაფს.

მარცხენა ნაპირის თბილკვებვაჭრობის დირექცია გვატყობინებს, რომ ზემოთაღნიშნულ გამყიდველებს მომხმარებლებისადმი გაწეული „ზრუნვა“ დაუფასეს და სათანადოდ „დააჯილდოვეს“.

დამნაშავე ცნობილია

ნიანგის მე-5 ნომერში დაიბეჭდა წერილი სათაურით „მისამართი უცნობია“. ქუთაისიდან გამოგზავნილი წერილი, რომელსაც კონვერტზე გარკვევით ეწერა მისამართი „თბილისი, ლისის ქუჩა № 30“, კავშირგაბმულობის 42-ე განყოფილების მუშაკებმა უკანვე გაგზავნეს ასეთი წარწერით — „პეკინის ქუჩა № 30-ში ადრესატი არ არის“.

კაცს გამარჯობას ეუბნებოდნენ და ის კი პასუხობდა ქალაქიდან მოვდივარო. სწორედ ასეთი პასუხი გასცეს წერილის გამომგზავნს.

თბილისის ფოსტამტის ხელმძღვანელობა ატყობინებს ნიანგს, რომ წერილში მოყვანილი ფაქტი სრულიად დადასტურდა. დამნაშავე ცნობილია და სათანადო სასჯელიც დაედო.

ტიკების ეგზოტიკის დასასრული

მკითხველებისათვის ცნობილია ნიანგის მე-6 ნომერში დაბეჭდილი ფელეტონი „ტიკების ეგზოტიკა“, რომელიც შეეხებოდა ხაშურელი მოქალაქეების ბარბაქაძის, სხირტლაძისა და შუბითიძის მიერ საკუთარ სახლებში საკუთარი ღვინის სარდაფების მოწყობასა და ვაჭრობას.

საქართველოს კპ ხაშურის საწარმოო სამმართველოს პარტიულმა კომიტეტმა საფუძვლიანად შეისწავლა და კომიტეტის ბიუროს სხდომაზე განიხილა ფელეტონში აღნიშნული კერძო პირების მიერ ღვინით ვაჭრობის საკითხი.

კომიტეტმა აღნიშნა, რომ ჟურნალ „ნიანგში“ გამოქვეყნებულ ფელეტონში „ტიკების ეგზოტიკა“ მოყვანილი ფაქტები მთლიანად დადასტურდა. ამასთან, შემოწმების დროს, გამოვლინებულ იქნენ რუსთაველის ქუჩაზე მცხოვრები სხვა პირებიც (აღაჯანაშვილი, ჩიტიაშვილი, ჭყოიძე), რომლებიც ფარულად ეწეოდნენ ღვინით ვაჭრობას.

პარტიულმა კომიტეტმა დასახა საჭირო ღონისძიებები, რომელთა განხორციელება ტიკების ეგზოტიკისა და ფარულად ღვინით მოვაჭრეთა საქმიანობის დასასრული იქნება.

დამღერებული რენტგენის ფირები

ფელეტონს, რომელიც ნიანგმა თავის მე-8 ნომერში დაბეჭდა „ამღერებული რენტგენის ფირები“ ეწოდებოდა. ამჟამად ეს ფირები დამღერებულად უნდა ჩაითვალოს, რადგან აღარ არსებობს ბორჯომის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ხმის ჩამწერი კაბინეტი, რომელიც ყოველგვარი აბდაუბდისა და უხამსობის ჩაწერას აწარმოებდა რენტგენის ფირებზე.

ბორჯომის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარმა სამმართველომ ნიანგს აცნობეს, რომ ბორჯომის საკოლმეურნეო ბაზრის შესასვლელთან არსებული ხმის ჩამწერი კაბინეტი დახურულია, ხოლო მისი სულისჩამდგმელი ოთარ ხუციშვილი, თავისი მოვალეობის არაკეთილსინდისიერად შესრულებისათვის, ფირებზე უხამსობისა და მიუღებელი შინაარსის სიმღერების ჩაწერისათვის მოხსნილია სამუშაოდან.

ნიანგს თავისი საკონტროლო პუნქტებიდან მოსდის ცნობები, რომ ჩვენი რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონსა და ქალაქში ჯერ კიდევ მოიპოვებიან ხუციშვილისთანა „კულტმუშაკები“, რომლებიც საკუთარი გამორჩენის მიზნით ყოველგვარი აბდაუბდის ჩაწერას აწარმოებენ და შემდეგ სპეკულანტურ ფასებში ჰყიდიან ასეთ ფირებს. ნიანგს სჯერა, რომ დიდხანს ვერც ისინი იბოგინებენ.

ისაკას საბურავები

ფოთის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს საბურავების სარემონტო საწარმოს ეხებოდა ნიანგის მე-9 ნომერში დაბეჭდილი წერილი — „ფოთური საბურავები“. ამ საწარმოს „ინჟინერი“, „ტექნიკოსი“ და მუშა ისაკ მოშეს ძე ნასხლეტაშვილი, რომლის სახელსაც ატარებდა საწარმოს მიერ გამოშვებული პროდუქცია, სპეკულატურ ფასებში ყიდდა ნახლაფორთოებ საბურავებს.

საქართველოს კპ ფოთის საქალაქო კომიტეტის ცნობით ისაკ ნასხლეტაშვილს უკვე დაუსხლტა ფეხი ხალტურისა და კომბინაციის გზაზე. გამოძიებით მთლიანად დადასტურდა მასზე წაყენებული ბრალდება, რისთვისაც სახალხო სასამართლომ მას ერთწლიანი „საგზური“ მისცა „დასასვენებელ“ სახლში. ამჟამად აღარ უშვებენ „ისაკას საბურავებს“.

ჭოგრიჭის ორი მხარე

ნახ. გ. ფირცხალავასი

ხელოვნებისათვის. უფროსისათვის.

რედაქტორი ნ. შველიძე.

სარედაქციო კოლეგია: ნ. დუმბაძე, ხ. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, მ. ქარჩავა, ო. ჭელიძე.

ხელ. კპ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“.

რედაქციის მისამართი: რუსთაველის პრ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—9-76-69, საერთო განყოფილების—8-10-49

ხელმოწ. დასაბ. 3/VIII-1964 წ. ქაღ. ზომა 70×108 18, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5, პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. საქ. კპ ცკ გამომცემლობის სტამბა № 1. ლენინის ქ. № 14. შეკვ. № 2005. უე 04520. ტირაჟი 40000

ИНДЕКС 76137

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სან-ფრანცისკოში „ძროხის სასახლეში“ ახლახან ჩატარდა რეს-პუბლიკური პარტიის ყრილობა, რომლის სიმბოლო სპილოა.

რეაქციული ძალების მხარდაჭერით ყრილობამ პრეზიდენტობის კანდიდატად პრეზიდენტის მომავალ არჩევნებში დაასახელა „ცოფიანთა“ მეთაური არიზონელი სენატორი ბარი გოლდუოტერი.

ნახ. ბ. ლოფიჟინა

ლაშქრობა თეთრი სახლისაკენ.